საქართველო

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის

# განკარგულება № 244

2015 წლის 25 დეკემბერი ქ. ბათუმი

**არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი - ბათუმის კულტურის ცენტრის მიერ სახელმწიფო შესყიდვების გამარტივებული შესყიდვის საშუალებით განხორციელების შესახებ**

„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10$^{1}$ მუხლის მე-3 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის, „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმების განსაზღვრისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის დამტკიცების თაობაზე“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს N13 ბრძანებით დამტკიცებული წესის მე-3 მუხლის მე-3 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად:

1. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი - ბათუმის კულტურის ცენტრმა სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი მნიშვნელობის ღონისძიებათა შეზღუდულ ვადებში შეუფერხებლად ჩატარების მიზნით 263 593 ლარის ფარგლებში საახალწლო სადღესასწაულო ღონისძიებებთან დაკავშირებით, მათ შორის სასაჩუქრე ნობათის სახელმწიფო შესყიდვები განახორციელოს გამარტივებული შესყიდვის საშუალებით.

2. განკარგულება ძალაშია ხელმოწერის დღიდან.

მთავრობის თავმჯდომარე არჩილ ხაბაძე

შემოსულია 25 დეკემბერი 2015 № 382

№ 34752/25
25 12 2015